პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 8 აგვისტო 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი მეომარი

177 (875)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## სალამი ახალ ძალებს!

ქართულ მეთაურთა სკოლა დღეს უშვებს წითელი მეთაურების ახალ კადრს, რომლებმაც დაასრულეს სწავლის სრული კურსი.

მათი სახით ქართულ წითელ ჯარს ემატება ახალი ხელმძღვანელი ძალები, რომლებიც კიდევ უფრო განამტკიცებენ და გააძლიერებენ ჩვენი ახალგაზრდა ჯარის რიგებს. ახალი წითელი მეთაურები ყველანი მშრომელთა რიგებიდან არიან. ყველა ისინი მუშების და გლეხების შვილებია. სწორედ ეს გარემოება, რომ ისინი მშრომელთა ოჯახს ეკუთვნიან, გვაძლევს სრულ უფლებას ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ მათი მოსვლა კიდევ უფრო განამტკიცებს ქართულ წითელ ჯარს. მათი ამოცანაა:

თითეული ახალგაზრდა გლეხისა და მუშისაგან აღზარდონ, როგორც სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, ისე პოლიტიკურად მომზადებული და შეგნებული რევოლიუციონერი მეომარი. საამისო მომზადება ჩვენმა წითელ მეთაურებმა უკვე მიიღეს სამხედრო სკოლაში.

და აი გამოშვების საზეიმო დღეს გვინდა ხაზი გაუსვათ შემდეგ გარემოებას.

თითეული წითელი მეთაურისათვის ნათელი უნდა იყოს თვით ეს მომავალი პასუხისმგებელი მუშაობა წითელ ჯარში. მათი მხნეობისაგან, ენერგიისაგან, მუყაითობისაგან დიდათ დამოკიდებულია ჩვენი წითელი ჯარის რიგების მეტი გასაღკდევება და მისი საბრძოლო უნარის აწევა.

ესევე დამოკიდებულია წითელ მეთაურთა პირადი ყოფა-ქცევისაგან. წითელი მეთაური საუკეთესო მაგალითი უნდა იყოს ყველა წითელ არმიელებისათვის. თავისი დისციპლინიანობით, ენერგიით და სიფხიზლით წითელი მეთაური უნდა წარმოადგენდეს რევოლიუციონერ მეომრის საუკეთესო ნიმუშს.

დასასრულ, რომ წითელი მეთაურები მუდამ თავის მოწოდების სიმაღლეზე იდგენ, მათ დიდათ უნდა იმუშაონ თვითგანვითარებაზე.

ცუდია ის წითელი მეთაური, რომელიც კმაყოფილდება სამხედრო სკოლაში მიღებულ ცოდნით და არ იძენს ახალს. თანამედროვე სამხედრო ტეხნიკის და საომარი ტაქტიკის სწრაფი განვითარება მოითხოვს თითეულ მებრძოლისაგან, მითუმეტეს წითელ მეთაურისაგან, სისტემატიურად აფართოვოს თავისი ცოდნა სამხედრო დარგში.

ჩვენ მხურვალედ ვესალმებით ქართული წითელი ჯარის ახალ ხელმძღვანელებს!

უსურვებთ მათ ნაყოფიერ და წარმატებით მუშაობას ჩვენი წითელი ჯარის და მუშურ-გლეხური საქართველოს საკეთილდღეოთ!

გაუმარჯოს ჩვენ ახალ წითელ მეთაურებს!

## ხელი შეუწყვე რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებას.

ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უდიდეს მორიგ ამოცანას წარმოადგენს რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცება სოფლად. როგორც ცნობილია ამ მხრივ დღემდი ყველაფერი რიგზე არ იყო.

ადგილობრივი ხელისუფლების პირები ხშირად აჭარბებდენ თავის უფლებებს, უხვევდენ ცენტრალურ მთავრობის დადგენილებებს და მის მიერ გამოცემულ კანონებს, ერთი სიტყვით არ იცავდენ რევოლიუციონურ კანონიერებას. ამით რასაკვირველია ხელი ეშლებოდა ყველა იმ აღმშენებლობითი ამოცანების გატარებას ცხოვრებაში, რომელიც დასახული ქონდა და აქვს კომუნისტურ პარტიას და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

ამ ნიადაგზე ეცემოდა საბჭოთა ძალაუფლების ავტორიტეტი და უკმაყოფილება ვარდებოდა ხალხში.

როგორც ზევით ვსთქვით ერთი მთავარი მიზეზი ამ რევოლიუციონური კანონიერების არ დაცვის არიან ის ბოროტ-მოქმედნი პირები, რომელებიც დღესაც ალაგალაგ ბუნაგობენ ადგილობრივ ხელისუფლების აპარატებში.

მეორე ძირითადი მიზეზი კი ის, რომ სოფლად არ მოგვეპოება ისეთი მომზადებული კადრი პასუხისმგებელ მუშაკებისა, რომლებსაც შეეძლოს სისწორით გაიგონ გამოცემულ დადგენილებათა და კანონების შინაარსი.

ყოველივე ამას ჩვენმა პარტიამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. ამ მიზნით მან გადადგა მთელი რიგი პრაქტიკული ნაბიჯებისა.

ამჟამად ტარდება ფართე კამპანია რევოლიუციონური კანონიერების განსამტკიცებლად. ამ კამპანიაში ფართე მონაწილეობა უნდა მიიღოს მშრომელ გლეხობამ.

რევოლიუციონურ კანონიერების განმტკიცების საქმეში აგრეთვე უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს წითელი ჯარიდან დაბრუნებულ წითელ-არმიელმაც. ის მხნედ უნდა ამოუდგეს პარტიას და ხელისუფლებას გვერდში და გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოოს ყოველგვარ უკანონობის, ადმინისტრატიულ თვითნებობის წინააღმდეგ და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს რევოლიუციონური კანონიერების გამტკიცებას. უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ-არმიელებმა აგრეთვე უნდა აუხსნან გლეხებს და გააცნონ ისინი მთავრობის ყველა კანონებს და განკარგულებებს, უმთავრესად ისეთები, რომლებიც ეხებიან სოფლად მუშაობას. ყოველგვარ ბოროტმოქმედებს და უკანონობას სოფლად ყოფილი წითელ არმიელები—სამხედროები უნდა შეებრძოლონ აგრეთვე რევოლიუციონური პრესის ფურცლებზე. მათ სინათლეზე უნდა გამოიტანონ ყველა მახინჯი და ბნელი მხარეები სოფლის ცხოვრების და აგრეთვე იმ პირების შავი საქმეები, რომლებიც თავისი მოქმედებით სახელს უტეხენ ხელისუფლებას და პარტიას.

ამრიგად უვადო შვებულებაში მიმავალი წითელ არმიელი უნდა გახდეს რევოლიუციონური კანონიერების ერთ ერთი მედგარი და აქტიური დამცველი.

—გ.

# ახალი რადიო-ამბები

## მოსალოდნელია 150 ათასი მუშის გაფიცვა.

ამერიკის ქვანახშირის მაღაროების პატრონებს და მუშებს შორის გამართული მოლაპარაკება უეცრად შეწყდა. მწარმოებლებმა უარი განაცხადეს ხელფასის 10 პროცენტის მომატებაზე და აგრეთვე მუშების ყველა მოთხოვნილებებზე. სამთომადნო მუშათა კავშირმა უარი განაცხადა საქმის სამედიატორო სასამართლოზე გადაცემაზე. 150.000 მუშა იმუქრება გაფიცვით.

## ინგლისი და მაროკო.

„მატენის“ მიერ გამოქვეყნებულ საფრანგეთ-ესპანეთის პირობებმა რიფებთან ზავის შესახებ საშინელი მღელვარება გამოიწვია ლონდონის დიპლომატიურ წრეებში. იტყობინებიან რომ ინგლისის მთავრობის აზრით ეს პირობები გარჩეულ უნდა იქნან საერთაშორისო კონფერენციის მიერ, ვინაიდან საკითხი მდგომარეობის შეცვლის შესახებ რიფის სანაპიროზე ახლოს ეხება ინგლისს.

## კუკის განცხადება.

სამთო-მადნო მუშათა კავშირის მდივანმა კუკმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა: „საჭიროა გამორკვევა, რომ სამთო-მადნო მუშების კავშირს არ აქვს რაიმე კავშირი შეთანხმებასთან მეპატრონეებსა და მთავრობას შორის.

სამუშაო ხელფასი რჩება უცვლელი და მიცემულ იქნება 1924 წლის კოლექტიურ ხელშეკრულების საფუძველზე.

## საფრანგეთ-ესპანეთის საზავო პირობები

„მატენი“ იუწყება, რომ მან მიიღო ცნობები საფრანგეთ-ესპანეთის საზავო პირობების შესახებ, გადმოცემულ აბდ-ელ-ქერიმის აიერ.

ეს პირობები შემდეგია:

აბდ-ელ-ქერიმის მიერ სულთანის რელიგიური სუვერე-

## გომინდანის დელეგაცია მოსკოვში

გომინდანის პარტიამ გაგზავნა ევროპის მთავარ სახელმწიფოებში დელეგაცია, რომელიც ევროპის მოვლის შემდეგ ესტუმრა საბჭოთა კავშირს. დიდიხნის მოგზაურობის შემდეგ გომინდანელებმა ჰპოეს მოსკოვის გასაღები, რომელსაც ისინი ეძებდენ ჩინეთის მშრომელთა მოსახლეობასთან დაახლოებისათვის და ეს გასაღებია ლენინიზმი, რომლითაც ის გაიგნებს გზას ჩინეთის სოფლისაკენ.



გომინდანის პარტიის დელეგაციის თავმჯდომარე ჩოე-წგანო.

ნიტეტის ცნობა. საფრანგეთისა და ესპანეთის მიერ რიფის ადმინისტრატიული ავტონომიის ცნობა და სხვა.

## რიფის ნაპირების ბლოკადა.

ლონდონიდან უეცარი განკარგულების გამო მოლტიდან გიბრალტარში მოვიდა სამი ინგლისის გამანადგურებელი. ფიქრობენ რომ ეს გემები რიფის ნაპირების ბლოკადაში მონაწილეობას მიიღებენ.

## რუსი მანარქისტები პარიზში.

ამ უკანასკნელ დროს რუს მონარქისტები პარიზში აწარმოებენ სასტიკ აგიტაციას. მონარქისტების უკიდურეს მემარჯვენე ფრთამ შეადგინა „ძველი წესწყობილების დასაცავი კავშირი“. კავშირს სათავეში უდგას გურკო. კავშირის ცენტრი პარიზშია.

ბერლინის განყოფილების უფროსად ოლდენბურგია.

სტრუვეს ინიციატორობით პარიზში მოხდება რუს ემიგრანტების კონგრესი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედების გეგმის გამოსამუშავებლად. მილიუკოვმა რესპუბლიკის დემოკრატიული ჯგუფის სახელით უარი განაცხადა კონგრესზე მონაწილეობის მიღებაზე.

## გერმანიის რკინისგზელთა მოთხოვნილება.

გერმანიის რკინის გზელთა კავშირებმა გადასცენ საიმპერიო გზების მმართველობას განცხადება მოთხოვნილებით სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ და სხვა.

ორშაბათს, 10 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა:

1) კომუნალური . . . . . . . . . . (წითელი თეატრი).

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება „რუოხ“-ის შესახებ.
2. მიმდინარე საკითხები.

2) ჯანმრთელობის . . . . . . (ალმასკ. შენ. ოთახი № 7).

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება ქ. ტფილისში პურის-ცხობის შესახებ,
2. მიმდინარე საკითხები.

3) სოფლად მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის. (ალმასკომის შენ. ოთახი № 66).

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება მომავალი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის დანაწილების შესახებ,
2. მოხსენება მაზრაში მეფუტკრეობის და მის ხელშესაწყობად ქარხნის გახსნის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

# გერმანიის მუშათა დელეგაცია ტფილისის წარმოებებში.

## ტფილისის პროლეტარიატის საზეიმო დემონსტრაცია.

6 აგვისტოს დილით გერმანიის დელეგაცია გაიყო ორ ჯგუფად და გაემართა სხვა და სხვა წარმოებათა დასათვალიერებლად.

დელეგატებმა დაათვალიერეს მთავარი სახელოსნოები, არსენალი, რკინის გზის სამმგრთველო და შემდეგ დელეგაციის ორივე ჯგუფი შეერთდა და ესტუმრა ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურს. ზაჰესის შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა მცხეთის დასასვენებელი სახლები. დელეგატებს ტფილისში დაბრუნებისას მიეგება ქუჩებში ჩამწკრივებული მუშები და მუშა-ქალები მქუხარე ტაშით და „ვაშას“ ძახილით.

**მიტინგი მუშათა სასახლესთან.**

დელეგაციას მიესალმა პროფსაბჭოს მდივანი ამხ. ყურულაშვილი, ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა სახელით ამხ. ვაშაკიძე და სხვა.

**ამხ. ყურულაშვილის სიტყვა.**

—ამხანაგებო! დღეს ტფილისის პროლეტარიატი ესალმება გერმანიის დელეგაციის მუშებს.

ეს დემონსტრაცია ამტკიცებს, რომ საქართველოს პროლეტარიატს სწამს გერმანიის მშრომელთა ლტოლვა ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. კიდევ ვესალმებით ძვირფას სტუმრებს და ვუსურვებთ გერმანიის მუშებს ჩქარა გამარჯვებას კაპიტალზე.

საქართველოს მუშების სახელით დელეგაციას მიესალმა არჩქელ ოქუაშვილი.

**ჰანს ბეკის სიტყვა.**

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჰანს ბეკი, რომელმაც განაცხადა:

„ამხანაგებო! ხვალ ჩვენ მივდივართ თქვენი ქალაქიდან.

ევროპაში საქართველოს შესახებ ვრცელდებოდა ცილისწამება და ჭორები. ჩვენ სრული შეგნებით გულახდილად ვეტყვით სიმართლეს გერმანიის პროლეტარიატს თქვენი ქვეყნის შესახებ.

ჩვენ გვინდა გავეცნოთ კიდევ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს. ხოლო გერმანიაში მისვლისას სახეში ვახლით სიმართლეს მათ, ვინც ზღვა წუმპეში თათხავდა თქვენს მშვენიერ ქვეყანას.

**ამხ. ვაშაკიძის სიტყვა.**

—დღეს ჩვენ ვესალმებით გერმანიის მუშათა დელეგაციას. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის მშრომელებთან ხელიხელ ჩაკიდებული ჩვენ ერთად ვიმუშავებთ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებისთვის.

შემდეგ საქართველოს ახალგაზრდობის სახელით დელეგაციას სიტყვით მიმართა ამხ. სარქისოვმა.

ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა

**ამხ. მილლემ,**

რომელმაც დასასრულ განაცხადა:

„ჩვენ გადავიტანთ გერმანიის პროლეტარიატის რიგებში თქვენს რევოლიუციონურ სულს და გავაძლიერებთ მუშაობას გერმანიის რევოლიუციის მოსამზადებლად“.

**მისალმებანი.**

მუშათა დელეგაციის სახელზე მიღებულ იქნა საქართველოს სხვა და სხვა მუშა მოსამსახურეთა ორგანიზაციებიდან მისალმებანი.

# თბილისის შეხვედრა.

**თბილისის პროლეტარიატის დემონსტრაცია.**

(შთაბეჭდილებანი სურათებში)

I.

6 მარიამობისთვე.

საშუადღეო სიცხე ჩამოწვა.

რკინისგზის დეპოს თავზე დაიგუგუნა საყვირმა, რომელსაც ბანი მისცა არსენალის კივილმა და ქალაქის ყოველ კუთხიდან გაისმა ქარხანა-ფაბრიკების თანხმოვანი შეზანზარება.

ეს შთანგია, ნიშანი ადრიან შაბაშის.

თბილისი შეინძრა და აიტეხა წითელ დროშების ტევრტყეში. ფირუზ ბეჭდიან ცის სარკეში იზმორება ატლასლოყება მზე, მარჯანის ტუჩთა აწურვით და, აბრეშუმის კულულები გადმოუშლია ქვაფენილებზე ბულ ავარდნილ ქუჩების ჯილად...

მუშები, მოსამსახურენი გამოიფინენ ქუჩებზე.

თბილისი ემზადება, რათა შორეული სტუმრები მიიღოს აზარფეშით ალავერდის გადასვლად.

იგი დღეს სიხარულით ნერვიულობს.

ფაფარნაყარი ძახილით მკლავებს ძალებად ჰშლის რკინის კუნთების ათამაშებით, რათა უზეს ჩაიხუტოს ყველაზე უძვირფასესი სტუმრები და აჩვენოს უძლევი ნება.

ის უკვდავი სიმღერით ეგებება გერმანიის პროლეტარიატის წარმომადგენლებს, რომელთაც მრავალ ათეულ წლებით ფოლადის მხარებით მოაქვთ რევოლიუციის თქმა.

II.

საღამოს 6 საათი...

მზე გადიხარა, და ნიავმა მხრები აიბერტყა...

შრომის მეუფების ციტადელი—პროფკავშირთა სასახლე ბუმბერაზად აზიდულ სიამაყით თავმოამწონედ დაჰყურებს რუსთველის გამზირს.

მის წინ აღმართულ ტრიბუნით გაისმის ცეცხლის სიტყვები.

ხალხი ელის ძვირფას სტუმრებს მცხეთიდან.

აქ არიან საქართველოს პროფესიონალურ მოძრაობის ვეტერანები.

აქ არიან აგრეთვე ის ძვირფასი შორეული თანამოძმენი, რომლებმაც გადმოლახეს ყოველი დაბრკოლება, რომელიც აღმართა მათ წინააღმდეგ ბურჟუაზიამ ჰინდენბურგის დასტურით და მეორე ინტერნაციონალის ლოცვით.

— აკრძალული ხილი უფრო იზიდავს ადამიანს: ალბად ტკბილია ყველაზე, რომ არ მეძლევა ნება მისი გემოს ნახვისო.

იფიქრეს მათ.

— საბჭოთა კავშირი ჯოჯოხეთური ქვეყანაა, რომელსაც ჰმართავენ ტარტაროზი, ველური, ბარბაროსი ბოლშევიკები! ესმოდათ მათ თავის სამშობლოში...

მაგრამ გერმანელ მუშის სიდინჯეს ცეცხლი მოედო, მან შეჰყვირა თავის მჩაგვრელ ჯალათებს და მოღალატე, მოქრთამულ ბელადებს:

— შორს თქვენი დიპლომატიური მოქნილობა, თქვე რევოლიუციის ნაცარქექიებო! მე მინდა ჩემი თვალით დავრწმუნდე ყველაფერში!

უყვირეს და მოიხსნეს დაზგებიდან, ყორნებზე მოქნეული უროები დროებით მიაყუდეს გრდემლზე, ქურასთან...

აი რა სურათებს შლიან ისინი თავის სიტყვებში, ტრიბუნიდან.

ევროპისა და აზიის შარაგზაზე მდებარე საქართველოს დედაქალაქის დათვალიერებით გაბრუებულ დელეგატებს, რომელნიც დარწმუნდენ ევროპიულ ინფორმაციის სიყალბეში, უფრო აბრუებს ეს საღამო...

ისინი ვერ მალავე აღმაფრენას.

დინჯ გერმანელთა თავშეკავებულობაც კი ჰკარგავს მოთმინებას და ჰყვირიან:

— ძირს სიცრუე მეორე ინტერნაციონალიდან, გაუმარჯოს ერთიან ფრონტს, პროლეტარიატის დიქტატურას, მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!..

მუსიკის გრიალში, ტაშის ხმაურში გაისმის ნამდვილი ინტერნაციონალური ინტერნაციონალის ნეტარი ჰანგები, რამოდენიმე ენაზე.

III.

ნამდვილ გერმანელ მუშების უდიპლომატიო კორპუსი, დელეგატები, საქართველოს პროფსაბჭოს სეკრეტარიატთან ერთად, როგორც შტაბი, იღებს პარადს ყალყზე ამდგარ თბილისის ლურჯ ხალათიან ლაშქრის, რომელთაც მოაქვთ ჯერ ბრძოლებში და შემდეგ შრომის ქარცეცხლში ალანძული მკერდები, რომელთაც სიამით ესალბუნება თავიანთვე სისხლში გასვრილი, დროშებად აფრიალებული პერანგები...

მათ მოჰყვებიან მუშა-ქალები, წითელ ხილაბანდებში, თავისუფალი გამომეტყველებით:

— იქაც ისე, როგორც აქ ჩვენ, რაც შეიძლება მალე უნდა იყოს ქალი თავისუფალი! ამბობს მათი შეხედულება.

აჰა მოსამსახურეთა მჭიდრო რიგები...

სხვა და სხვა პლაკატები ლოზუნგები...

აგერ გერმანელ სპარტაკელების გზის განმგრძობი ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირის გვარდია:

— დიად ბრძოლებში დაღლილ უფროსთა ნაცვლად, მოვდივართ ახალგაზრდა მებრძოლნი.

ამბობს მათი ურჩი პროფილი...

აჰა კომუნის წორჩი, წითელი ყვავილები, მესამე თაობა, პიონერები...

დელეგატები დატყვევებული არიან ამ სურათით, ისინი სიტყვებს ვერ პოულობენ აღტაცების გამოსათქმელად, მაგრამ მათი თვალები ეძებენ კიდევ ვიღაცას...

იგინი ხედავენ რომ აქ არ არის არც ბატონი და არც ყმა; აქ ყველა ერთია, ერთი პირი, თემი, კომუნა...

მხოლოდ აკლია ყველგან გამარჯვებული და მთელი მსოფლიოს სიამაყე წითელი ჯარი, რომლის ნახვაც ასე ძალიან უნდოდათ; აქ იგებენ ისინი, რომ ლაშქარი საზაფხულო ბანაკში გასული...

ორატორებს ორატორები სცვლიან...

მეორე ტრიბუნა აღმართულია დიდების ტაძართან...

სიტყვები ყურულაშვილის, ჭელიძის, ვაშაკიძის და თბილისის პროლეტარიატის უხუცეს ვეტერანის ჰალარა არაქელასი...

გერმანელებიდან დელეგაციის თავმჯდომარე ჰანს ბეკი და სხვები...

— ჩვენ რომ საბჭოთა კავშირში მოვდიოდით, ამხანაგებმა დაგვაბარეს: არ დაგვიწყდეთ და მუდამ გახსოვდეთ საქართველო, რომელზედაც ასეთი საშინელი ამბებია გავრცელებული ევროპაში; ნახეთ, გაიგეთ ჩვენი თანამოძმეების ბედილბალი...

და, ამხანაგებო, ჩვენ ვნახეთ საქართველო, საქართველო ნამდვილ მშრომელთა, საქართველო თავისუფალი, რასაც გადავცემთ ამხანაგებს.

ამბობს სოციალ-დემოკრატი დელეგატი და ათავებს:

— გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის და გერმანიის პროლეტარიატის ერთიან ფრონტს!

ტაშის ქუხილი.

სამი საათი გრძელდება პროცესის სვლა...

ხალხი ღამის ათ საათამდე არ შორდება ტრიბუნებს.

VI.

ღამეა წყნარი.

მთელი ქალაქი გაჩირაღდნებულია ფერადი ელექტროთი.

ნიავი ოდნავ არხევს ცეცხლ მოდებულ დროშის კალთებს.

სახალხო კომისართა საბჭოს სასახლე, ქალაქის აღმასკომის შენობა, პარტიული და სახელმწიფო დაწესებულებანი მრავალფერ სანათების მძივებში ლივლივებს.

მთაწმინდის მწვერვალით ქალაქს დასცქერის დიდი, წითელი ხუთქიმა ვარსკვლავი.

მთელი მიტინგი, დელეგატებთან ერთად მღერის ინტერნაციონალს.

ზღვა ხალხი აცილებს მას მხურვალე ტაშის გუგუნში „ვაშას“ და „ურას“ ძახილით...

კმაყოფილი თბილისი სტუმართმოყვარე სიამით ეუბნება მათ:

— გაუმარჯოს ძვირფას სტუმრებს, გერმანელ მუშებს!

ს—ნ.

# საერთო შეკრებისთვის.

**ავიაციის მნიშვნელობა ჯარების შეერთებულ საბრძოლო მუშაობაში.**

ამ ჟამად ავიაცია ასრულებს მეტად ბევრ საბრძოლო ამოცანას. ის ეხმარება ჯარებს მოძრაობის, დასვენებისა და ბრძოლის დროს.

პირველ ყოვლისა ის ზვერავს მტრის ზურგს როგორც ახლო, ისე შორს, სიღრმეში. მფრინავი მოთვალთვალე ჰკრებს, ყველა აუცილებელ ცნობებს მტრის ჯარების მოთავრების მოქმედების, ძალის, შემადგენლობის, მათი მოძრაობის მიმართულების შესახებ და სხვა; გებულობს, თუ სად იმყოფება მტრის გამაგრებული ადგილები, საწყობები ჰაეროდრომები და სხვა.

ყველა ამ ცნობებს ის აწვდის უფროსებს. დაწვრილებით დაათვალიეროს აღნიშნული ზოლი, ჩაიწეროს და დაიმახსოვროს ყველაფერი მის მიერ ნახული,-მფრინავისათვის მეტად ძნელია. მას ამიტომ ეძლევა ფოტოგრაფიული აპარატი, რომლის შემწეობით ის ხატავს ადგილმდებარეობას მტრის ზურგში. ამ აპარატის საშუალებით შეიძლება ზედიზედ 50-დე სურათის გადაღება და ამას გარდა შეიძლება გადაღებულ იქნას მოედანი-200 კვადრატული ვერსი მსხვილ მაშტაბით (100 საჟ. ერთ დიუმში) რისთვისაც საჭირო იქნება 1 ნახ.-2 საათის ფრენა.

შემდეგ ავიაციას შეუძლია საჰაერო კავშირის დაჭერა თავისი ჯარების ნაწილებსა და შტაბებს შორის. მეტად ძვირფასია ავიაციის მუშაობა მოწყვეტილ ჯარის ნაწილებთან კავშირის დასაჭერად; აქ ავიაციას შეუძლია კავშირი გააბას მტრის მიერ დაკავებულ პოზიციაზე, როცა კავშირის სხვა საშუალების ხმარება შეუძლებელია. ამ რიგად ავიაციას შეუძლია მიაწოდოს ჩვენს ჯარებს საბრძოლო მომარაგების საგნები:

მთავარი საშუალებაა, რის მეოხებითაც მფრინავს უკავია კავშირი მიწასთან,—ეს არის რადიო-ტელეგრაფი, რადიო-ტელეფონი, შუშხუნები საშ. თანგო ტილოები (რომელთაც უჩვენებს ჯარი) და წერილობითი ცნობების ჩამოგდება თვითმფრინავიდან.

შემდეგი ამოცანა, რომლის ასრულებაც შეუძლია ავიაციას—ეს არის არტილერიის ცეცხლის სწორება, ე. ი. მფრინავი, ან მასთან მყოფი არტილერიის უფ. უჩვენებს ჩვენს არტილერიას, თუ სად ხვდება მისი ყუმბარები, უსწორებს სროლას, რათა მტრის მიზანი შემუსრულ იქნას, ერთი სიტყვით თვითმფრინავი სწევს არტილერიის სათვალთვალო წერტის მაგივრობას.

ბოლოს ავიაცია აწარმოებს საჰაერო ბრძოლას, როგორც მიწის, ისე ჰაერის მტრის წინააღმდეგ. პირველ შემთხვევაში თვითმფრინავი ხმარობს ტყვიამფრქვევსა და ბომბებს (შეიარაღებისათვის ეხლა უმთავრესად მიღებულია სპეციალური საავიაციო თოფ-ტყვიამფრქვევი ლიუსის სისტემისა და რამოდენიმედ მსუბუქი ტყვიამფრქვევი მაქსიმესა და ვიკერსის სისტემის).

ჰაერის მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითმფრინავი ხმარობს მხოლოდ ტყიამფრქვევს (თოფ-ტყვიამფრქვევს ან ტყვიამფრქვევს). სანამ მტრის თვითმფრინავები მუშაობენ, ჩვენს ავიაციას არ შეუძლია მიეხმაროს და დაიცვას ჩვენი ჯარები.

მან ჯერ ომში უნდა შეებას ჰაერის მტერს, დაამარცხოს ან განდევნოს ის, ხოლო მერმედ კი ებრძოლოს მიწის მტრებს და ხელი შეუწყოს თავის ჯარებს საბრძოლო ამოცანის ასრულებაში.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ თვითმფრინავი უახლოესი მეგობარია მიწის მეომრებისთვის. ის არამც თუ მხოლოდ ეხმარება მათ სძლიონ მიწის მტერი, არამედ იცავს კიდეც მათ ჰაერის მტრისაგან.

—პ.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## აი როგორ ვამტკიცებთ სოფელთან კავშირს.

მე-5 ლეგიონი.

4 აგვისტოს, მე-5 ლეგიონის მე-3 ათასეულის მთელი შემადგენლობა მუსიკით და სიმღერით გაემგზავრა სოფელ №-ში მარტოხელა და ღარიბი ცვალებადელების ყანების გასათოხნად. წითელ-არმიელები დიდის ხალისით მიდიან. არც ერთს დაღლილობა არ ეტყობა. მუსიკა და გურული სიმღერები შეზავებული ერთმანეთში აღვიძებს მიყრუებულ მიდამოს.

უახლოვდებით სოფელს. გზაში გვხვდება ქალი და პატარა ბავშვი თოხებით ხელში. ამან ძალიან დაგვაინტერესა, ნუ თუ ამ პატარა ბავშვსაც თოხნა შეუძლია?!

— სად მიდიხართ თქვენ?— ეკითხება ათასეულის თავი.

— ყანის გასათოხნად,— იყო პასუხი,— ჩემთვის მუშა ხელი არავინ არის, გარდა ამ პატარა ბავშვისა, რომელიც შეძლებისდა გვარად მეხმარება.

— ვის გსურთ აქ დარჩენა? შეეკითხა უფროსი.

— ჩვენ.—და გამოვიდა ათი წითელი არმიელი.

ქალის სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

შევედით სოფელში. მუსიკა და სიმღერების ხმა აღვიძებს სოფელს. დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყველა მოგვეშურება ჩვენსკენ.

—ვინ არის თქვენს სოფელში ქვრივ-ობლები, ღარიბნი, რომელთაც ყანა აქვთ დასამუშავებელი?—შეეკითხა ხალხს უფროსი.

ასეთები ამ პატარა სოფელში აღმოჩნდა ცამეტი ოჯახი. ათასეული განაწილებული იქნა და გაეშურენ ყანებისაკენ.

ათასეულის თავი თოხით ხელში მიდის ყოველ ჯგუფთან და ამხნევებს მათ.

ახლოვდება 12 საათი. სამუშაოც თავდება. ისმის შესაკრებად საყვირის ხმა. ყველანი თავს იყრიან ერთ დანიშნულ ადგილას.

— დადექით, სწორდი, სმენა—ისმის განკარგულება.

მოვემზადეთ წამოსასვლელად მუსიკა უკრავს მხიარულ მარშს. სოფლელები დიდ ბოდიშს იხდიან, რომ უსადილოდ გვისტუმრებენ. ამაზე მათ დამაშვიდებელ პასუხს აძლევენ.

მოვდივართ. ყანებიდან გვესმის გლეხების ყვირილი:

— გაუმარჯოს ჩვენს წითელ ჯარს და მის მეთაურებს!

საღამოს მოვედით ყაზარმაში და შეუდექით სადილის ჭამას.

სამხედრო ყულისკარელი.

## საჭიროა მინების ჩასმა.

მექვსე ტერ-ლეგიონი.

ამას წინად არსენალის საწყობში მომხდარ აფეთქების გამო ჩვენი ტერ-ლეგიონის ყაზარმების ფანჯრების მინების უმრავლესობა სრულიად ჩამტვრეული იქნა, რის გამო ყოვლად შეუძლებელი ხდება ასეულების საცხოვრებელ ყაზარმებში სისუფთავის დაცვა. თავისუფლად დათარეშობს ყოველ მხრიდან ქარი, რომელსაც თან შემოაქვს მტვერი და ყოველნაირი უსუფთაობა.

იყო შემთხვევაც, რომ ამის მიზეზით ავად გახდა ერთი ამხანაგი და გაიგზავნა საავადმყოფოში. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ვისაც ეს ეხება და ჩასვას ყაზარმის ფანჯრებში ახალი მინები.

სამხედრო ნ. ა.

## კვირაობით უგაზეთოდ ვართ.

მე 3 ლეგიონი.

მე-3 ლეგიონის წითელ არმიელები და აგრეთვე სხვა ნაწილებიც, კვირაობით უგაზეთოთ ვრჩებით. სწორედ ყველაზე უფრო მეტად კვირას გვჭირია გაზეთები და ამ დღეს არ გვაქვს. ამის მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივი ფოსტის განყოფილება მუშაობას სწყვეტს 12 საათზე ორშაბათამდე.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება.

სამხედრო გ—ტი.

## წითელ-არმიელების ოჯახების შესახებ.

ტერარმიელების ოჯახების დასახმარებლად თელავის მაზრაღმასკომმა დაადგინა: მიმართოს სიღნაღის მაზრის აღმასკომს გაუწიოს დახმარება მოსავლის მოკრეფაში იმ წითელ-არმიელების ოჯახებს, რომელნიც განიცდიან გაჭირვებას ოჯახის წევრის მოწყვეტით. რაც შეეხება თელავის მაზრის წითელ-არმიელებს, დაევალოს სამხედრო კომისარს შეადგინოს სია იმ წითელ-არმიელების, რომელთაც ოჯახში არ ყავთ მუშა ხელი და წარმოადგინოს მაზრის აღმასკომში.

## შეკითხვა მე-5 ლეგიონის კომუჯრედს.

მე-5 ლეგიონის კომუჯრედს ოთხი თვის წინად გადავეცი სხვა და სხვა საბუთები ჩემი სოფელში ყოფნის დროს ნახულ უკანონობაზე. მას შემდეგ გადის კარგა ხანი და არავითარი პასუხი არ მიმიღია ჩემს საჩივარზე.

მე-5 ლეგიონის კომუჯრედს ვსთხოვ მაცნობოს, თუ რა ბედი ეწვია ჩემს საჩივარს.

სამხედრო ახალციხელი.

## ჩვენი მუშაობა.

მე-4 ლეგიონი.

მე-4 ქ. მ. ლეგიონში პოლიტ-საათის მეცადინეობა კარგათ მიმდინარეობს, რასაც ყველა წითელ არმიელები დიდი ხალისით ესწრებოდენ.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ წითელ არმიელი თავისუფალი ყოფილიყოს და არ დასწრებოდეს პოლიტ-საათს.

რაც თეორიულად ვისწავლეთ ამ დარგში, ეხლა მის პრაქტიკულად განხორციელებას შეუდექით, რასაც დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს და დიდ ხალისსაც იწვევს წითელ არმიელებს შორის.

აი როგორ ვანხორციელებთ ამას პრაქტიკაში: ვირჩევთ საბჭოს, როგორც ეს ხდება ჩვენს ცხოვრებაში, გამოვყოფთ ხოლმე თავმჯდომარეს, ავირჩევთ აგრეთვე დეპუტატებს კონფერენციაზე გასაგზავნათ და სხვა. ამ რიგად ვეჩვევით მუშაობას.

მეცადინეობას დიდი ხალისით ეკიდებიან წითელ არმიელები. აქ ხდება აზრთა-გაცვლა გამოცვლა. სოფელში დაბრუნებისას აქ პრაქტიკულად შეძენილ ცოდნას გადავიტანთ სოფლის ცხოვრებაში და უფრო გამოვაცოცხლებთ მუშაობას. პოლიტხელი ამხ. გოგორიშვილი მადლობის ღირსია, რადგან ის მოწადინებულია, რომ წითელ არმიელს შეასწავლოს ყოველივე ის, რაც ადამიანისათვის საჭიროა ცხოვრებაში.

სამხედრო გ. ქოჩიაშვილი.

# დღეს ქართულ მეთაურთა სკოლა უშვებს 124 წითელ მეთაურს!

# ქართული წითელი ჯარი მხურვალედ ესალმება თავის ახალ აღმშენებლებს!

# გაუმარჯოს ჩვენი წითელი ჯარის ახალ წითელ ხელმძღვანელებს!

## ახალი წითელი მეთაურების გამოშვების გამო.

(უნცროსი კურსანტის წერილი).

სამოსწავლო წელი უკვე დასრულდა.

ქართ. მეთ. სამხ. ნორმალური სკოლა 8 აგვისტოს გამოუშვებს 124-ედ წითელ მეთაურს.

30 ივლისს ჩვენს სკოლაში ყოველგვარი მეცადინეობა შესწყდა.

დასრულდა „საზაფხულო პერიოდის მეცადინეობა და დავამთავრეთ წლიური პროგრამაც.

უფროსი კლასის კურსანტები მოუთმენლად ელოდებიან 8 აგვისტოს. ეს დღე მათთვის მნიშვნელოვანი და სადღესასწაულო დღეთ დარჩება. დღეს ისინი მიიღებენ „წითელი მეთაურის“ სახელწოდებას.

მათ დაყვეს სკოლის კედლებში სამი წელი, და თუ ისინი შემოვიდნენ სკოლაში მხოლოდ წერა-კითხვის და საერთო ელემენტარული ცოდნით, მათ სკოლაში ენერგიული მეცადინეობით და ხელმძღვანელების დაუღალავი შრომით გაიარეს სამხ. სკოლის ნორმალური კურსი. და შეიძინეს ბევრი რამ როგორც სამხედრო საქმეში, ისე პოლიტიკურ დარგში.

კურსანტები დაწყებულ საქმეს მუყაითად ეკიდებოდენ და ბეჯითად მეცადინეობდენ, თუმც ზოგიერთ შემთხვევაში მათ სწავლას ხელს უშლიდა სხვა და სხვა მიზეზები.

ამ ხნის განმავლობაში კურსანტებს ბრძოლაც მოუხდათ საბჭოთა ხელისუფლების შინაურ მტრების წინააღმდეგ, საიდანაც გამარჯვებულნი გამოვიდენ.

სამოსწავლო წლის ბოლოს პედაგოგიურ საბჭოს სხდომამ აღნიშნა ის ფაქტი, რომ კურსანტები ენერგიულად ეკიდებოდენ საქმეს.

უფროსი კლასის კურსანტებმა გამოცდები ჩინებულად ჩააბარეს.

მეთაურებს დიდი ღვაწლი მიუძღვის სხვა და სხვა თვითმომქმედ საზოგადოებების დაარსებაში და განსაკუთრებით კი უმცროსი და მოსამზადებელი კურსის კურსანტების აღზრდაში და გაწვრთნაში, როგორც სამწყობრო, ისე წესდებებში და დისციპლინის გამტკიცებაში.

ჩვენ უმცროსი და მოსამზადებელი კურსის კურსანტები ფიცს ვსდებთ მათ წინაშე, რომ ჩვენ მათი გამოშვების შემდეგ შევძლებთ აღზრდას ჩვენი უმცროსი ამხანაგებისას, რომლებიც ეხლა იქნებიან მიღებული ჩვენს რიგებში. თავის მხრივ თქვენ გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას წითელი ჯარის რიგებში.

აგრეთვე გაგემართლებიოთ ის იმედები, რომელსაც თქვენზე ამყარებს საბჭოთა ხელისუფლება.

გაუმარჯოს ქართ. მეთაურთა სკოლის წითელ მეთაურების მესამე გამოშვებას! გაუმარჯოს წითელ არმიას და მათ ხელმძღვანელებს!

გაუმარჯოს წითელი მეთაურების სამჭედლოს ქართ. მეთაურთა სკოლას და მის მესვეურებს!

სამხედრო შაქრო.



გამოშვებულ მეთაურთა ერთი ჯგუფი.

## ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

ქართული სამხედრო სკოლა გამოუშვებს ახალ წითელ მეთაურებს.

ჩვენი სკოლისათვის ეს მესამეა და წინანდელთან შედარებით შესანიშნავია იმით, რომ სკოლა უკვე თავის დონეზე სდგას და ყველა ამ ნაკლულევანებას, რასაც ადგილი ჰქონდა წინეთ, ეხლა თითქმის ადგილი აღარ აქვს თუმცა გვაღონებს ჩვენი უფროსი ამხანაგების დაშორება, ვინაიდგან ბევრი რამ შეგვიძენია მათგან, მაგრამ სამაგიეროდ გვახარებს ის, რომ ისინი მიდიან ქარ. წით. ჯარის სახელმძღვანელოდ. და ჩვენ, აქ დარჩენილნი კურსანტები, ვუსურვებთ მათ სრულ გამარჯვებას წითელ ჯარის საკეთილდღეოდ მუშაობაში.

ვ. მაისურაძე

ტფილისის ქვეითა სკოლის, ქართულ გაერთიანებულ და სამხედრო პოლიტსკოლების კურსანტებისა და ტ. პ. სკ. განმეორებითი განყოფილების მსმენელთა გამოშვების გამო, საორგანიზაციო კომისია ამით იწვევს ყველა პარტიულ, კომკავშირთა, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებსა და ტფილისის გარნიზონის წითელი არმიის ნაწილებს, რათა 8 აგვისტოს, შაბათს, წითელი არმიისა და ფლოტის სახლში (პლეხ. გამზირი) დაესწრონ საზეიმო გამოშვების საღამოს.

დასაწყისი 18 საათზე.

საორგანიზაციო კომისია.

## ბრძანება.

ქ. ტფილისისა და მისი რაიონების გარნიზონისადმი.

7 აგვისტო 1925 წ. № 28 ქ. ტფილისი.

ტფილისის ქვეითა სკოლიდან, გაერთიანებულ ქართულ მეთაურთა სკოლისა და კ. წ. დ. ა. სამხედრო პოლიტ სკოლიდან მეთაურთა და პოლიტ მომუშავეთა გამოშვების გამო, ხვალ, 8 აგვისტოს, დილის 10 საათზე დანიშნულია ტფილისის გარნიზონის ჯარების აღლუმი ტფილისის ქვეითა სკოლის მოედანზე.

აღლუმში მონაწილეობა მიიღონ (აქ ჩამოთვლილია სამხედრო ნაწილები).

აღლუმის უფროსობა ეკისრება მე-2 ქართულ ტერიტორიალურ მსროლელ დივიზიის უფროსის თანაშემწეს ამხ. ქუთათელაძეს.

ნაწილები თავიანთ ორკესტრებითა და დროშებით გავიდენ ტფილისის ქვეითა სკოლის მოედანზე იმ ანგარიშით, რათა ტფილისის ქვეითა სკოლისუფროსის თანაშემწის ამხ. მოსკალენკოს ჩვენებით მოწყობილ იქნან ადგილზე 9 ს. და 30 წუთზე.

ტფილისის ქვეითა სკოლის უფროსმა თავის დროზე გამოგზავნოს არმიის შტაბში მედროშე ოცეული ორკესტრით არმიის დროშების მისაღებად.

ნაწილების მოწყობის წესრიგი, თანახმად ამა ბრძანების მე-2 §-ში ნაჩვენებისა ასეულის რაზმელების ხაზზე (კარრე).

ამა ბრძანების მე-2 §-ში აღნიშნულ ნაწილების უფროსებმა 8 ს. და 30 წ. გამოგზავნონ ტფილისის ქვეითა სკოლის მოედანზე შტაბების უფროსები (ადიუტანტები) სამწყობრო ნუსხებით და მოხაზეები ტფილისის ქვეითა სკოლის უფროსის განკარგულებაში, რომელმაც უნდა დააწყოს მოხაზეები სამხედრო ნაწილების მოსვლის დროსთვის.

მე-7 კავკასიის ცალკე მზვერავ რაზმმა 10 საათიდან 11 საათამდი აწარმოოს ფრენა აღლუმის თავზე.

ტანისამოსის ფორმა—საყარაულო უფარაჯოდ. კავკასიის ბრიგადის ნაწილები გამოვიდენ ცხენოსან წყობილებაში, დანარჩენები—ქვეითად.

აღლუმის დასრულების შემდეგ ნაწილები გაივლიან საზეიმო მარშით და წავლენ თავიანთ ყაზარმებში.

გარნიზონის უფროსი, კ.წ.დ.ა. ჯარების დრ. სარდალი

ვ. გიორგაძე.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## ნიშანში სროლის შედეგები.

ქარ. ცხ. ლეგ. ც. ცვ. ესკადრონი.

ჩვენი ცვალებად ესკადრონის პირველი პრაქტიკული სროლა შაშხანა თოფით მოხდა 24 ივლის. ყველა წითელ-არმიელები დაინტერესებულნი იყვნენ იმაში, რომ ნიშანი აელოთ კარგად და ვაზნა არ დაეწვათ ტყვილაუბრალოთ. დილის 7 საათზე ესკადრონი წყობილებით გაეშურა დანიშნულ სასროლო მინდვრისაკენ.

მისვლისთანავე, მთელი ესკადრონი დაყოფილი იქმნა რამოდენიმე ჯგუფებათ.

— აბა ბიჭებო, ვინ მოახვედრებს მეტს-ო" ისმის წითელ-არმიელთა ხმები.—სმენა! დაიძახა მწყობრის თავმა, ცეცხლის ხაზზე ნაბიჯით იარ! ვარჯიში იყო სულ ოთხი, პირველ ორი ვარჯიშს ოთხი ვაზნა და დანარჩენ ორს სამ-სამი ვაზნა ეკუთვნოდა. პირველი ჯგუფი მიდის ცეცხლის ხაზზე და დაწოლილი იღებს ნიშანს მიზანში. გაისვრიდა თუ არა ჯგუფი თითო ვაზნას მიზანში, დაუკრავდენ ბუკს, რაც ნიშნავდა სროლის დამთავრებას. ადგებოდენ ყველანი და მიდიოდენ მიზნის დასათვალიერებლად, რომ გაეგოთ თუ საით მიქონდა თოფს ტყვია. შემდეგ კი ისევ იწყებდენ სროლას. იმავე დღეს—საღამოს 5 საათზე დამთავრდა სროლა და სროლის შედეგი გამოირკვა, რომ წითელ-არმიელებმა მოარტყეს გულა მიზანს 70 პროც., რამაც დიდათ გაახარა ჩვენი მეთაურები. სროლის დამთავრების შემდეგ. ესკადრონი მხიარულად და სიმღერით დაბრუნდა ლეგიონში.

წითელ-არმიელი ვ. ვახანია.

## მოვაწყვეთ სამხედრო კუთხე ტრამვაის მუშათა კლუბში.

მეექვსე ლეგიონის კლუბის გამგეობამ ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის ტრამვაის მუშათა კლუბში 5 აგვისტოს მოაწყო სამხედრო კუთხე სპეციალურ ოთახში.

კუთხე მშვენივრად არის მოწყობილი.

აქ არის პლაკატები, ლოზუნგები, სქემები და დიაგრამები წითელ ჯარის ცხოვრებიდან, არის აგრეთვე სხვა და სხვა გვარი იარაღები.

კუთხეში ჩამოყალიბებული იქნება ოთხი სამხედრო ცოდნის წრე: ორი რუსული და ორი ქართული. წრეების მიზანი იქნება სკოლის გარეშე მუშაობის სახით პოპულიარიზაცია გაუკეთოს წითელ ჯარის ყოფაცხოვრებას და მუშებს შორის აგიტაცია პროპაგანდის გაწევა ტერშეკრების მნიშვნელობაზე. კუთხის საზეიმო გახსნა მოხდება ახლო ხანებში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასეთი მუშაობით განვახორციელებთ ლოზუნგს: „მოსახლეობის გასამხედროება"-ს.

აღნიშნულ კუთხის მოწყობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მე-5 ასეულის ტერარმიელს ამხ. მგალობლიშვილს, რისთვისაც კლუბის გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის მას.

აღნიშნულ კლუბთან განზრახულია სროლის სავარჯიშო შენობის მოწყობა.

იმედია ეს განზრახვაც მალე იქნება სისრულეში მოყვანილი, თუ მას ანგარიშს გაუწევს ტრამვაის მუშათა კლუბის გამგეობა.

წრეების სამეცადინოთ გამოყოფილია ლეგიონიდან ორი მეთაური, რომლებსაც უსურვებთ ამ ამოცანის მტკიცედ შესრულებას.

სამხკორი ე—ლი.

## შევაკეთეთ ფეხსაცმელები.

1-ლი არტლეგიონი.

პირველი საარტილერიო ლეგიონის წითელ-არმიელებს ფეხსაცმლები დაგვეხა.

საჭიროა მათი შეკეთება, მაგრამ ერთი მოხელე ვერ წვდება ყველა სამუშევარის შესრულებას და ჩვენი ფეხსაცმელები რჩება შეუკეთებელი. თუ ფეხსაცმლები თავის დროზე არ იქნა შეკეთებული, ის შემდეგ უფრო ფუჭდება და მისი შეკეთება შეუძლებელია.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და თავის დროზე შეგვიკეთონ ფეხსაცმელები.

წითელ-არმიელი **ობოლი.**

## 1-ლ ლეგიონი ექსკურსიაზე.

4 აგვისტოს, დილის 7 საათზე, მთელი ლეგიონის შემადგენლობა გაემგზავრა ჰაეროდრომის დასათვალიერებლად. წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. მათ ძალიან აინტერესებდათ თვითმფრინავების ახლო დათვალიერება. მივედით ჰაეროდრომში. შეუდექით დათვალიერებას. ლეგიონის თავი და მისი თანაშემწე დაგვყვებოდენ და გვიხსნიდენ თვითმფრინავის მოწყობილობას. დათვალიერებისას ჩვენი უფროსი მეთაურები და წითელი არმიელები ჩასხდენ თვითმფრინავში და გაფრინდენ ჩვენი ბანაკისაკენ.

შემდეგ გადავიღეთ სურათი ჰაეროდრომში მომუშავეებთან ერთად. წითელ არმიელები დიდათ კმაყოფილნი დარჩენ ამ ექსკურსიის და გზაში სულ თვითმფრინავებზე ქონდა ლაპარაკი.

სამხკორი ვ. ჩაგელიშვილი.

# პარტიული ცხოვრება.

## მე-6-ე ლეგ. მე-3- ათასეული.

17 ივლისს შესდგა ადგილობრივ სამოქალაქო პარტორგანიზაციასთან გაერთიანებული პარტიული ღია კრება, რასაც დაესწრენ მე-3 ათასეულის პარტიული და უპარტიო ამხანაგები. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. „მეცხვარეობის" გამგეობის მოხსენება, 2. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და მომგებიანი ბილეთების შეძენის შესახებ, 3. ცნობათა ბიუროს არჩევა და 4. მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება არავის გაუკეთებია, რადგანაც მომხსენებელი არ გამოცხადდა.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ადგილობრივ საორგ. განყოფილების გამგემ, რომელიც ფართოთ შეეხო სოფლის გადასახადს. მომგებიან ლოტარეიის ბილეთების შეძენის შესახებ, მოხსენების შემდეგ ჩვენს მიერ იქნა არჩეული ცნობათა ბიურო. ბიუროში შედიან სამი წევრი და ორი მათი კანდიდატი.

დ. ჭანკ ძე.

## მეექვსე ლეგ. უმცროს მეთაურთა სკოლის კომუჯრედში.

ჩვენს სკოლაში თავიდანვე დაარსებული იქნა კომუჯრედი და პარტიის დამხმარე ახკომკავშირის ჯგუფი. საკმაოდ გამოცდილი ამხანაგების ხელმძღვანელობით პარტსაგანმანათლებლო დარგში სკოლის დაარსებისთანავე აღებული იქნა პარტმუშაობის სწორი ხაზი.

სკოლაში პარტორგანიზაციის იდეიურ მუშაობაში საგრძნობი მიღწევებია.

კომუჯრედის კრებები სისტემატიურად ეწყობა.

ხშირად იმართება აგრეთვე კრებები კომკავშირთა ჯგუფთან და უპარტიო ამხანაგებთან, სადაც ხშირად კეთდება საერთაშორისო მდგომარეობიდან ინფორმაციული მოხსენებები,—წითელი არმიის ყოფაცხოვრების საკითხები, სავსებით გაშუქებულ იქნა მე-14-ე პარტკონფერენციის მუშაობა, დადგენილებები და ყოველ დარგის აღმშენებლობაში — პარტიის მიერ შემუშავებული პრაქტიკული ღონისძიებანი და სხვა.

ახკომკავშირელთა შორის აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობის გასაძლიერებლათ და ნამდვილი ლენინური აღზრდის მისაღებათ დაარსებული იქნა ახალგაზრდა მოძრაობის შემსწავლელი წრე, სადაც ჩაწერეული არის სკოლის ახკომკავშირის ყველა წევრები საპროგრამო გეგმის მიხედვით სისტემატიურად მიმდინარეობს ყოველკვირეულად მეცადინეობა. პროგრამის გავლის დროს პარტუჯრედის მიერ განზრახულია მთავარი ყურადღება მიექცეს მათ ბოლშევიკურ აღზრდას.

უპარტიოთა შორის—პარტპოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების და პარტიის ავტორიტეტის განმტკიცების მიზნით ენერგიული მუშაობის საწარმოებლათ, პარტუჯრედმა საჭიროდ სცნო თავის წევრებიდან საკმაო მომზადებული პარტამხანაგების უპარტიო ჯგუფებზე ინდივიდუალური მიმაგრების აუცილებლობა, რაიც უკვე პრაქტიკულად ჩამოყალიბებული იქნა.

ვ. ლ—ძე.

## ნუ ალპობთ სახაზინო ქონებას.

1-ლ ლეგიონი.

პირველ ლეგიონში ორი თვეზე მეტია, რაც გააკეთეს საბანაო მიზნით აუზი, მაგრამ ჯერ-ჯერობით შიგ არავის უბანავნია. აუზს გარს შემოავლეს კარვების ტილოები, რომელიც ლპება და ქარისაგან იხევა.

ამას წინად მოვიდა ნიაღვარი და აუზი ამოივსო მიწით. სამნეო ნაწილის უფროსმა აუზი ამოაწმენდია და ამონაწმენდი მიწა კი მიაყარეს ტილოებს, რასაც აფუჭებს.

ვინაიდან აუზით არავინ სარგებლობს, ამიტომ საჭიროა მოიხსნას ტილოები და შენახული იქნას, თორემ ისინი ერთიანად დალპება და დაიხევა.

სამხკორი ლამურა.

## მყვირალა დალაქი.

1-ლი ლეგიონი.

პირველ ლეგიონის სამნეო გუნდში არის ერთი წითელი არმიელი დალაქი, რომელსაც უფროსის მიერ დავალებული აქვს გუნდის არმიელების გაპარსვა და გაკრეჭა; დანარჩენ მოვალეობიდან ის თავისუფალია. ახირებული რამ ადამიანია ეს ამხანაგი. მიხვალ წვერის გასაპარსავად თუ არა გიწყებს ყვირილს, ლანძღვას და გინებას. ბევრი წითელ არმიელები გაურბიან დალაქის ლანძღვას და ხშირად წვერ გაუპარსავი რჩებიან. საჭიროა ამას მიაქციონ ყურადღება და მოაგონონ დალაქს თავის მოვალეობა, რადგან ის წითელ არმიელის დანარჩენ მოვალეობისაგან თავისუფალია და თავის საქმეს პირნათლად უნდა ასრულებდეს.

წითელ არმიელი **ძველი.**

## ნარევი.

**„ქალთა სამეფო".**

ამერიკელ სწავლულ სმაირმა, რომელიც ეხლა დაბრუნდა შუა ტიბეტის ექსპედიციიდან, აღმოაჩინა ლადაკის ოლქში „ქალთა სამეფო."

იქ თურმე თითო ქალს ყავს სამიდან ხუთამდე ქმარი, რომლებიც ასრულებენ ყველა საშინაო და სამეურნეო საქმეებს. ძალა-უფლება სავსებით ქალების ხელშია. ამ ტომის მეთაური ქალია.

**ქვის ეპოქის სახელოსნო.**

მიწის დამუშავების დროს ერთ-ერთ მამულში ესტანში (შვეცია). მიწის მთხრელები წააწყდენ ნახევარ მეტრის სიღრმეზე ქვის საუკუნის სახელოსნოს, სადაც მზადდებოდა ყოველ გვარი იარაღი ქვიდან.

ნაპოვნია 30 სხვა და სხვა საგანი ქვიდან გაკეთებული, რომელთაგან ყურადღებას იქცევს ორი ქვის ნაჯახი, დანები და სხვა.

აღმოჩენილი საგნები ეკუთვნიან 1—3 ქვის საუკუნის პერიოდს.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-6-ე ლეგიონის № 4 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ამავე ლეგიონის უფროს მასწავლებელს მიხეილ ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძეს, მცხოვრებ სამხრეთ ოსეთის, საშუალო განათლებით, ინტელიგენტი, სხვა პარტიაში, როგორც თვითონ აცხადებს, არ ყოფილა.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მისი პარტიაში მიღების შესახებ. გთხოვთ აცნობოთ მე-6-ე ლეგიონის № 4 უჯრედის მდივანს 10 დღის განმავლობაში.

**მე-6-ე ლეგ. № 4 უჯრედის პასუხის მგებელი მდივანი.**

მე-6 ტერლეგიონის მე-10 კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ წითელ არმიელს ქუთაისის მაზრის მცხოვრებს ამხ. პარმენ გელაზონიას. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, ვსთხოვთ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

მე-6 ტერლეგიონის მე-3 ათასეულის მე-10 კომუჯრედში.

შემოსულია განცხადებები მე-3 ქართულ მსრ. ლეგიონის პარტბიუროში—კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგი ამხანაგებიდან: 1. წით. ლაშქრ. აკოპაშვილი სიმონი მიტოს ძე, ბორჩალოს მაზრის, სოფ. რატევანი, 2. ლონდამაშვილი სტეფანე გიორგის ძე, ბორჩალოს მაზრა, სოფ. რატევანი, 3. ბენიძე ალექსანდრე ბეგლარის ძე, ლეჩხუმის მაზრა, სოფ. ზუბი, 4. თავდიშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე, ოზურგეთის მაზრა, სოფ. პატარა ოზურგეთი, 5. რობაქიძე ვასილი ბესარიონის ძე, ქ. ქუთაისის მცხოვრები. 6. კოსტავა დავითი იაკობის ძე, ქუთაისის მაზრა ფარცხანაყანების თემი, 7. პაპავა კონდრატე ალმასხანის ძე ზუგდიდის მაზრა. სოფ. ხორგა, 8. ჯიოვი ნიკოლოზი პავლეს ძე, ცხინვალის მაზრა, სოფ. ციბთაის, 9. ხუბეჟოვი თანაოზი მიხეილის ძე, ცხინვალის მაზრა, სოფ. სამწყაროში, 10. ზარიევი ივანე იაგორის ძე, ქ. თბილისის მაზრის. თუ ვინმეს მოეპოებათ ზემოხსენებული პირებზე უარყოფითი ცნობები გთხოვთ გვაცნობოთ მე-3 ქართ. მსროლელ ლეგ. პარტბიურო კოლექტივში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან გაზეთში გამოცხადებისა.

მე-2 ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომ-პარტიის კანდიდატებს პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმეს მოეპოება უარყოფითი ცნობები მათი პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-2 ქ. მ. დივ. ცალკე მესანგრე ასეულის კომ-უჯრედში ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, სიტყვიერად ან წერილობით. უსახელო წერილები არ მიიღება.

1. კოდანოვი ლევან ილიას-ძე, მესანგრე ასეულის ზემდეგი. ქ. თბილისის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრ. 2. ჯაფარიძე ილარიონ, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრის მცხოვრები, კომ. პარტიის კანდიდატი 1925 წ. იანვრიდან. 3. მოწონელიძე ალექსანდრე მეთოდეს-ძე, წ. ა., ათის თავი, რაჭის მაზრა, ახ. ლ. კომ-კავშირის წევრი 1921 წლიდან და კომუნისტური პარტიის კანდიდატი 1925 წლის იანვრიდან.

**უჯრედის პას. მგ. მდივანი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. ფ. ს. ც.

სამხედრო სტამბა ...ელის ქ. № 3.